პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას

გვანცა შაუთიძე

წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო 2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, გვანცა შაუთიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გვანცა შაუთიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატრებისას და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი :

გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

სხვ. - სხვა

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი

აშშ. - ამერიკის შეერთებული შტატები

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი

მაგ. - მაგალითად

გვ. - გვერდი

შსს. - შინაგან საქმეთა სამინისტრო

იქვ. - იქვე

მრ.სხვ.-მრავალი სხვა

ანოტაცია

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დღითიდღე იმატებს რისკი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არამართლზომიერი ჩარევის კუთხით. ეს არის ის ძირითადი უფლება, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის მეთხუტმეტე მუხლი იცავს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების მთავარი გარანტი კი სახელმწიფოა. განსაკუთრებული რისკი დგას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში, რათა არ მოხდეს ისეთი ინფორმაციის მოპოვება და შენახვა, რომელიც ფუნდამენტურად დაარღვევს კონსტიტუციის მეთხუტმეტე მუხლს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისას დაცული უნდა იყოს პირის პირადი მონაცემების, ოჯახური ცხოვრების, მიმოწერების, სატელეფონო საუბრის მოსმენისგან დაცულობის უფლება.[1]

2012 წელს გამოქვეყნებულმა ე.წ ,,ციხის კადრებმა", ნათლად აჩვენა თუ რაოდენ დიდი ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო კანონმდებლობაში და არსებული სისტემა თავიდან ბოლომდე შეცვლილიყო. ევროკავშირის რეკომენდაციაც მიმართული იყო სახელმწიფოში ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განახორციელებდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებების კონტროლს. სასამართლოს როლიც ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ საქმეში, ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული დააკმაყოფილებს თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების შესახებ პროკურორის შუამდგომლობას. ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს ძლიერი სასამართლო ინსტიტუტი, სადაც მოსამართლეები დამოუკიდებლად მიიღებენ გადაწყვეტილებას, არ მოექცევიან მაღალი თანამდებობის პირების გავლენის ქვეშ და მაქსიმალურად ეცდებიან მხოლოდ ის

[1] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი". გამომცემლობა შპს ,,პეტიტი", თბილისი, 2013

შუამდგომლობა დააკმაყოფილონ, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოში უსაფრთხოების დაცვის მისაღწევად.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც პროცედურულ ნაწილში ირღვევა, როგორც იმ პირის უფლებები ვის მიმართაც ხორციელდება აღნიშნული ღონისძიებები, ასევე მესამე პირების მიმართაც, რომლებსაც აღნიშნულ საქმესთან საერთოდ არ აქვთ კავშირი, თუმცა უშუალო კონტაქტი აქვთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატთან. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს, განიხილოს ის რისკები, რაც თან ახლავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, რა სამართლებრივი ბერკეტები გააჩნია სახელმწიფოს აღნიშნული ფაქტების თავიდან აცილების კუთხით. ნაშრომში აღწერილია სახელმწიფო ინსპექტორის როლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას. ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის მხრიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის შექმნა, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებიდან გამომდინარე დაკმაყოფილებული თუ დაუკმაყოფილებელი შუამდგობლობების შესახებ.

Abstract

With the development of technology, the risk of illegal interference with the right to privacy is increasing day by day. This is a fundamental right protected by the constitution of Georgia (Paragraph 15). The main guarantee of the right to privacy is the state. There is a particular risk in conducting covered investigations in order to avoid obtaining and storing information that will fundamentally destroy the Constitution (Paragraph 15). In case of inviolability of private life, the right of protecting personal data, family life, correspondence, listening to telephone conversations must be protected.1

The so-called "prison videos" published in 2012 clearly showed how much change was necessary in the legislation and the existing system had to be changed from beginning to end. The EU recommendation also addressed the needs for an independent, state-run body to oversee hidden investigative activities. The role of the court is also very important in this case, as it depends on whether it will satisfy the prosecutor's mediatory activities to launch a covered investigation.

It is necessary to have a strong judicial institution in the country, where judges will make decisions independently, will not be influenced by high-ranking officials and will try their best to satisfy only those mediatory actions that are necessary to achieve security in the state.

In the process of conducting covered investigative actions, there are frequent cases when the procedural part is violated, as the rights of the person against whom the mentioned measures are carried out, as to third persons who have no connection with the case at all, but have direct contact with the addressee of the covered investigative action.

The purpose of this issue is to discuss the risks associated with the right to privacy in conducting covert investigative actions. What legal levers does the state have in terms of avoiding these facts. The issue describes the role of the state inspector in conducting hidden investigative actions. A very important step is the creation of a register of covert investigative actions by our country, which annually publishes statistics on satisfied or unsatisfied mediatory activities based on hidden investigative actions.

შინაარსი

შესავალი.....9

I.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას.....12

1.1.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსი.....12

1.2.საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სფერო.....18

II. პირადი ცხოვრების საიდუმლოებასთან დაკავშირებული პროცედურები ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას……27

III.საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას……45

3.1.ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი……..……45

3.2.სახელმწიფო ინსპექტორის მხრიდან განხორციელებული კონტროლი……47

დასკვნა.....54

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრება, მისი პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებებით, ამ უფლების შეზღუდვა და მასში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ხარჯზე და ასევე თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, თუმცა აღნიშნული ქმედება უნდა იყოს სამართლებრივად სწორი და პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუვალობის დარღვევა, უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად.[2] აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირდაპირ კავშირშია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან, რადგან სწორედ ამ მოქმედებების ჩატარების დროს ირღვევა ადამიანებისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით მინიჭებული უფლება.[3]

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის აუცილებელია, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდებოდეს განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად[4]. ამ პროცესში ხშირად ირღვევა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ, თუ არსებული მოქმედება, თანხვედრაში მოდის კონსტიტუციასთან, არსებული პირობების სავალდებულო დაცვით და კონსტიტუციის გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების

---

[2] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. გამომცემლობა შპს ,,პეტიტი“, თბილისი, 2013. გვ.176

[3] იქვე. გვ 177

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0 {ბოლოს ნანახია 12/04/2021}

მისაღწევად, თუმცა აუცილებლად უნდა იქნეს დასაბუთებული, რომ უფლებაში ჩარევა პროპორციული გზით მოხდება.

საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ეს თემა ძალიან აქტუალურია, ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება უფლების რეგლამენტირებული ხელყოფა, რაც კონსტიტუციით დაცულ უფლებაში არამართლზომიერი და არაპროპორციული ჩარევის საფრთხეს ქმნის. აღნიშნულს ადასტურებს მაკონტროლებელი ორგანოს - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეჩერების ფაქტები, რაც გამოწვეულია ინსპექტორისთვის ელექტრონული ან შესაძლოა მატერიალური სახით, მოსამართლის განჩინების, პროკურორის დადგენილების წარუდგენლობის ან/და წარდგენილ დოკუმენტებში მონაცემების ბუნდოვანება-უზუსტობით, პროცედურულ ნაწილში არსებული ხარვეზებით.[5] ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2015-2020 წლების რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ სასამართლოებში შესული შუამდგომლობების რაოდენობა ფარულ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე ყოველწლიურად იზრდება. 2020 წელს კი 2018 წელთან შედარებით გაორმაგებულია სასამართლოში შესული შუამდგომლობების რიცხვი, რის გამოც ხშირად ირღვევა კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლი[6]. 2012 წელს გავრცელდა სხვადასხვა ქსელით სხვადასხვა ძალოვანი ორგანოების მიერ უკანონოდ მოპოვებული, ფარული მიყურადების გზით 2003 წლიდან 2012 წლამდე ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები, რამაც კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა არსებული თემის აქტუალურობა, რადგან პრაქტიკამ ბევრი ლაფსუსი წარმოშვა.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თუ რამდენადაა სახელმწიფოში დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ფარული საგამოძიებო მოქმდებების ჩატარების დროს, რა ბერკეტები აქვს

[5] https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/General/surveillance_geo_final.pdf {ბოლოს ნანახია 13/04/2021}

[6] https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/General/surveillance_geo_final.pdf {ბოლოს ნანახია 13/04/2021}

საგამოძიებო ორგანოებს, რათა თავიდან აიცილოს ხელისუფლების მიერ არამართლზომიერი და უკანონო ხელყოფა, როგორია კონტროლის მექანიზმები და რა პრობლემებს ვაწყდებით მისი განხორციელებისას, არის თუ არა ეს მექანიზმები ეფექტური და ამ კუთხით განხორციელებული მოქმედებების ეფექტურობა.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებული იქნება დესკრიფციული კვლევის მეთოდი, რომლითაც წარმოჩინდება თუ რა არის ფარული საგამოძიებო მოქმედება, მისი გავრცელების ფარგლები, ასევე შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდით, საკითხი ნათლად იქნება განხილული ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს არსებულ დარღვევების თაობაზე.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 4 თავისგან და 4 ქვეთავისგან, პირველ თავში განხილული იქნება პირადი ცხოვრების არსი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საერთაშორისო სტანდარტები და სასამართლო პრაქტიკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით. მეორე თავი უშუალოდ დაეთმობა თუ რა არის ფარული საგამოძიებო მოქმედება, მისი ჩატარების წესი და განმახორციელებელი ორგანო. შემდგომ უკვე განვიხილავ შესაბამისი პროცედურების მიმართებას კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლთან, ფარულ საგამოძიებო მოქმედების რეესტრს და მაკონტროლებელ ორგანოებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების კუთხით, საქართველოში არსებულ სტატისტიკებს და საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებს. შემდგომ უკვე უშუალოდ შევეხები სახელმწიფო დაცვის ინსპექტორის სამსახურსა და მის როლს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლისას. ბოლო თავში კი უშუალო ანალიზის სახით წარმოჩინდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის დროს არსებული პრობლემები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას და ამ პრობლების გადაჭრის გზებზე იქნება საუბარი.

I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები

1.1პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებათაგანი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით არის მინიჭებული და მისი დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ფართო შინაარსი აქვს, შესაბამისად მისი მრავალმხრივი შინაარსი არ იძლევა საშუალებას, რომ ჩამოყალიბდეს ზუსტი და ამომწურავი განმარტება ,,პირადი ცხოვრების უფლების ჩამოყალიბების პერიოდში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ხშირად ასოცირდებოდა ინდივიდის იზოლირებულ სფეროსთან, რაც გამოხატულებას პოვებდა გარკვეულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში: სახლის, ოჯახის და შეტყობინებების საიდუმლოების დაცვაში" [7] ჯერ კიდევ 1921 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით იყო დაცული პირადი ცხოვრების არსი შემდგომი განმარტებით, კერძოდ, ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია. მისი ამოღება და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით."[8] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლიტური უფლება, ამ უფლების ხელყოფა შესაძლებელია თუ საპირწონედ დადგება ქყვეყნის უსაფრთხოება, ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება, დაირღვევა დემოკრატიული პრინციპები.[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირადი ცხოვრების განმარტებისას მოიაზრებს, რომ ეს არის

---

[7] Manfred Nowak, Covenant on CIVIL an Political Rights, CCPR Commentary, 2005

[8] ზუკაკიშვილი ქ., პირადი ცხოვრების უფლება– გამოწვევები ინტერნეტ ეპოქაში, სამართლის ჟურნალი N1. თბილისი 2012

[9] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა,ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი". გამომცემლობა შპს ,,პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.179

ადამიანის უფლება, რომ საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისე როგორც მას სურს, წარმართოს საკუთარი პირადი ცხოვრება, რომელიც დაცული იქნება კერძო პირის თუ სახელმწიფოს ჩარევისგან, თვითონ გადაწყვიტოს ვისთან დაამყარებს კომუნიკაციას, ვისთან ექნება მიმოწერა, იქნება ზოგადად იზოლირებული საზოგადოებასთან, თუ აქვს სურვილი იცხოვროს გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად. შესაბამისად მას არამარტო უნდა ჰქონდეს განცდა, არამედ ასეც უნდა იყოს რომ არავინ ჩაერიოს პიროვნების პირად სივრცეში, რისთვისაც სახელმწიფო ვალდებულია გააჩნდეს შესაბამისი ბერკეტები.[10]

საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლის დაცვის სფეროშია პირის:

1. ოჯახური ცხოვრება
2. პირადი სივრცე
3. პირადი კომუნიკაცია
4. საცხოვრებელი ადგილის უნებართვო ჩხრეკა[11]

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი უფლების შეზღუდვას კანონმდებელი მიიჩნევს მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოცემული განჩინების საფუძველზე ან/და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.[12] შესაბამისად სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას ისეთი გარემო, სადაც არავის არ ექნება განცდა, რომ მისი უფლებები უკანონოდ დაირღვა, უფლებაში ჩარევა კი სამართალდამცავი ორგანოების მიერ არამართლზომიერი იყო. კონტროლის კუთხით საკმაოდ რთული მისიაა პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა მაქსიმალურად იქნეს დაცული,

---

[10] ბურჯანაძე გ., ტუღუში თ., მშვენიერაძე გ., მენაბდე ვ. გოცირიძე გ., ,, ადამიანის უფლებები და ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013, გვ.190.

[11] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი". გამომცემლობა შპს ,,პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.180

[12]იქვე. გვ 181

ვინაიდან ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მით უფრო რისკია როგორც მესამე პირების, ასევე ,,გავლენიანი პირების“ მიერ წვდომა ადამიანების პირად მიმოწერასთან. განსაკუთრებით კი სოციალური ქსელის, რომლის გაკონტროლებაც საკმაოდ რთულია. პირადი კომუნიკაციის უფლება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, ვინაიდან უშუალო კავშირშია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან.[13] პირადი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა პირადი მომოწერა, რომელიც შეიძლება შედგეს ორ ან რამდენიმე პირს შორის, ეს შეიძლება იყოს როგორც ინტიმური სახის, ასევე ყოველდღიური საკომუნიკაციო თემები, რისი გაზიარებაც ადამიანს სურს მხოლოდ მიმართული ადრესატის მიმართ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ადამიანის ნებისმიერი მიმოწერა მიმართულია იმ მომენტში იმ გრძნობის, ემოციის გამოხატვისთვის, რომელსაც მეორე პირისთვის გასცემს, შესაბამისად ეს მიმოწერა უნდა შედგეს ისე, რომ პირს არ ჰქონდეს ეჭვი, რომ მის პირად მიმოწერას ვინმე სათავისოდ გამოიყენებს ან ხელმისაწვდომი გახდება, ვინაიდან ადამიანის ასეთი შიშის ქვეშ ცხოვრება თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება ადამიანის ყველა ძირითად ფუნდამენტურ უფლებებს და არ ზის დემოკრატიისთვის დამახასიათებელ არც ერთ ფორმაში.[14]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმე - საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'' მიიღო გადაწყვეტილება, რომ ,,შეცდომა იქნებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მთელი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-15 მუხლით შემოფარგვლა, რადგან პირადი ცხოვრების განკუთვნილი ცალკეული საკითხები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლით,

[13]საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. გამომცემლობა შპს ,,პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ.180.

[14]იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVERFGE 34.

შესაბამისად მისი დეფინიციაც, მხოლოდ მეთხუთმეტე მუხლიდან გამომდინარე არასწორი იქნებოდა.[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „პირადი და ოჯახური ცხოვრების ქვეშ შეიძლება მოვიაზროთ პირის კერძო ცხოვრების სფეროში დამყარებული და განვითარებული ისეთი ურთიერთობები, რომლებიც უფრო მეტი ინტიმურობით ხასიათდება, რის გამოც განსაკუთრებულ დაცვას იმსახურებს. სწორედ ამიტომ პირადი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტებში ჩარევა გაუმართლებელი იქნება“[16]. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ძალიან სენსიტიურია ადამიანისთვის, რადგან ხაზი გადის, როგორც ადამიანის გრძნობებთან, ასევე ყველა იმ ფაქტორთან, რისი გასაჯაროვებაც მას არ სურს, სწორედ ამიტომაა თვითონ დეფინიციაში პირადი ცხოვრება, რომელიც თავისთავში მოიაზრებს კერძო პირის, მისი ინდივიდუალურად შექმნილი არეალის დაცვას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. შესაბამისად ადამიანს არამარტო სურვილი აქვს, რომ დაცული იყოს მისი პირადი ცხოვრება, არამედ რეალობაც მსგავსი უნდა იყოს. სახელმწიფო ვალდებულია ყველა ბერკეტის გამოყენებით ემსახუროს საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლით დაცულ ფასეულობებს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ როგორც მის პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ჭრილში, პოზიტიური ვალდებულების არსით სახელმწიფო არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ბერკეტი ადამიანის თავისუფლების კუთხით, კერძოდ უზრუნველყოფს არამართლზომიერი ჩარევა, ადამიანს არ ჰქონდეს დაუცველობის შეგრძნება, პატივი სცეს მის პირად ცხოვრებას.[17] ნეგატიური ასპექტის დროს კი დაუშვებელია თვითონ სახელმწიფოს ჩარევა პირადი

---

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

[16]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება, საქმე N458.

[17] ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ .189.

ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით, სახელმწიფომ არ გამოიყენოს მისი ძალაუფლება არაკანონიერად და გარკვეული გადაცდომებით.[18] შესაბამისად როდესაც საქმე ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამ უფლებაში ჩარევა უნდა იყოს თანაზომიერი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ხორციელდებოდეს.[19] თანაზომიერების პრინციპი ერთი მხრივ ადამიანს ანიჭებს თავისუფლებას, თუმცა მეორე მხრივ ძირითად უფლებებში ჩარევის არათანაზომიერ, ზომის გადაცდომის უფლებას კრძალავს, დაუშვებელია ადამიანის პირადი სფერო იმაზე მეტად შეიზღუდოს, ვიდრე ამის საშუალებას კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლი იძლევა.[20]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, ამავე დროს პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს. შესაბამისად ამ უფლებების დარღვევა ზემოთ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებაში არსებული დემოკრატიული მიზნის მისაღწევად, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო უსაფრთხოებას.[21] სწორედ საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლში არსებულ დეფინიციაზე, კერძოდ ,,პირადი ცხოვრება“ აუცილებელია განვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ თუ რა მოიაზრება ამ დეფინიციაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, კერძოდ „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“,

[18]ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ .190

[19] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. გამომცემლობა შპს ,,პეტიტი“, თბილისი, 2013 გვ.184

[20] დემეტრაშვილი.ი, ,კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2010, გვ. 89

[21]საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ,,საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. გამომცემლობა შპს ,,პეტიტი“, თბილისი, 2013. გვ.185

სადაც სასამართლომ დაასკვნა, რომ „კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ ნაწილში პირადი ცხოვრების მთელ რიგ უფლებრივ კომპონენტებთან ერთად თავშივე მოხსენიებულია ზოგადად ,,პირადი ცხოვრება," რაც თითქოს იმის ვარაუდს ქმნის, რომ ეს ცნება გულისხმობს პირადი ცხოვრების მთელ სფეროს ამომწურავად."[22] სწორედ ამიტომ მე-15 მუხლი მოიცავს პირადი ცხოვრების ყველა შემადგენელ კომპონენტს, იმათაც კი, რომელთა დასაცავადაც კონსტიტუციაში არის სხვა სპეციალური ნორმები შექმნილი. რასაკვირველია, დასაწყისშივე ცხადია, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერ კომპონენტს თუ ვხელყოფთ, ამ შემთხვევაში დაირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების მთელი არსი, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოებაზე დაყრდნობით არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ აუცილებლად მეთხუთმეტე მუხლი უნდა დაირღვეს მთლიანად, რადგან ვითვალისწინებთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეგულირების კონსტიტუციაში მოცემულ კონსტრუქციას, რადგან მისი გათვალისწინების გარეშე ძალიან მაღალი რისკია პირადი ცხოვრების უფლებების ცალკეულ კომპონენტებში ჩარევისას, მისი არასწორი განმარტება და ფარგლების არასწორი განსაზღვრა.[23]

სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის განხილვისას, საქმე გვაქვს სახელწმიფოს მხრიდან პირადი მიმოწერის გაკონტროლების, სატელეფონო საუბრის მოსმენის, პირადი გზავნილების კოტროლის ან ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით ურთიერთკავშირის გაკონტროლების დაცვასთან, მაგალითად როდესაც სახელმწიფო უწყება აკონტროლებს პირის მობილური კომუნიკაციის საშუალებით საუბარს, ვისთან ამყარებს სატელეფონო კონტაქტს, რა თემას მოიცავს მათი საუბარი, იმ პირის

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება, გვ. 12
[23] იქვე.გვ.13

ვინაობის გაფილტვრას ვისაც ესაუბრება ფარული მოსმენის ქვეშ მყოფი პიროვნება. [24]

საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლში ჩარევა უშუალოდ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც კანონდარღვევა, რადგან არსებობს ჩარევის სამი კონსტიტუციური საფუძველი, ესენია:

5. უშუალო კონსტიტუციური დათქმა
6. კანონის კონკრეტული დათქმა
7. შიდაკონსტიტუციური შეზღუდვების საფუძვლები.[25]

1.2 საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული სფერო

საქართველო მიერთებულია საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომელთაც გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, შესაბამისად ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მერვე მუხლი ითვლისწინებს, რომ ნებისმიერი ადამიანის პირადი ცხოვრება დაცულია და დაუშვებელია ამ უფლებაში ხელისუფლების ან თუნდაც კერძო პირების ჩარევა, მხოლოდ იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აუცილებელია ამ უფლების ხელყოფა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებიდან, ქვეყნის კეთილდღეობიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მიღწეული იყოს დემოკრატიულ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ეროვნული უსაფრთხოება, რის გამოც ამ უფლებაში ჩარევა, დაუშვებელია იყოს რომელიმე კონკრეტული გავლენიანი პირის თვითნებული ქმედების შედეგი.[26] ნებისმიერმა ადამიანმა პატივი უნდა სცეს სხვის პირად ცხოვრებას, მის საცხოვრებელს

---

[24]კუბლაშვილი კ., ,,ადამიანის ძირითადი უფლებები“ , თბილისი 2008, გვ. 158.

[25] ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2014 . გვ.27

[26]https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 { ბოლო ნახვის თარიღი {15.05.2021}

და მიმოწერას, შესაბამისად საჯარო ხელისუფლების ჩარევა დაუშვებელია, თუ საფრთხე არ ემუქრება საჯარო ინტერეს, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას.[27] სახელმწიფოს ან/და მესამე პირის მიერ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის შეგროვება, მიჩნეულია, როგორც ადამიანის პირად არეალში შეჭრა, რაც იწვევს, კონვენციის მერვე მუხლის დარღვევას, რადგან ადამიანიას პირადი მონაცემები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ–ერთი ნაწილია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილია სქესობრივი ცხოვრებაც, ისევე როგორც პირის მიმართ მისი პირადი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, მიმოწერის მოპოვება, სატელეფონო საუბრის მოსმენა და ა.შ. თუმცა ეს უფლებები არ არის აბსოლიტური და ხშირად იზღუდება, იმისათვის რომ მიღწეული იყოს სახელმწიფოსთვის არსებული ლეგიტიმური მიზნები. მიმოწერის მაგალითზე რომ განვიხილოთ, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მერვე მუხლის მიხედვით, იმისათვის რომ დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, ამისათვის სახეზე უნდა იყოს უტყუარი მტკიცებულებები და საქმე თავისი შინაარსით უნდა მიესადაგებოდეს სისხლის სამართლს, თუმცა აუცილებელია ეფექტური კონტროლის მექანიზმების არსებობა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მერვე მუხლის ბუნებიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეგვიძლია აღვიქვათ. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ,,პირადი ცხოვრების პატივისცემის კონცეფცია მოიცავს პიროვნების განვითარების უფლებას, ისევე როგორც ურთიერთობების დამყარებას სხვებთან. ამასთან, მე-8 მუხლი გამოყენებულ იქნა ჰომოსექსუალებისა და ტრანსექსუალების უფლებების დასაცავად“.[28]

---

[27] ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, გამომც. ევროპის საბჭო. გვ.16

[28] კილკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონცენციიც მე-8 მუხლის განხორციელება, თბილისი 2005, გვ.16

ხშირ შემთხვევაში კონვენციის მერვე მუხლის დაცულ სფეროშია მოაზრებული პიროვნების მიერ უარის თქმა სამედიცინო დახმარებაზე და მკურნალობაზე, რათა ამით შეინარჩუნოს საკუთარი პირადი დამოუკიდებლობა და მისი სხეულიც აღიქვას, როგორც ,,პირადი სივრცის" ერთ-ერთი ნაწილი და არ მისცეს მასში თუნდაც სამედიცინო პერსონალს ჩარევის უფლება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ასევე გამყარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით, რომლის თანახმად, ნებისმიერი ადამიანი დაცული უნდა იყოს, რომ არ მოხდეს მის პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევა, თითოეული ადამიანს არსებული ფაქტებისგან უნდა იცავდეს კანონი.[29] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს შემდეგს, კერძოდ ამ უფლების ფარგლებში პირი უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური ასევე მორალური ხელშეუხებლობისგან, დაცულია მისი პირადი მონაცემები, ხელშეუხებელია სატელეფონო საუბრები, სქესობრივი ცხოვრება, პირადი მიმოწერა პირადი ცხოვრების ფართო შინაარსიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლომ დაცული სიკეეთეები გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია, თუმცა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება განმარტა საკმაოდ ფართოდ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს ამ უფლების მნიშვნელობას. [30]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, იმ სახელმწიფოებისთვის, რომელიც მას აღიარებს, წარმოდგენს საკანონმდებლო სისტემის შემადგენელ ნაწილს, ანუ ყველა კანონი მოდის მასთან შესაბამისობაში, რა თქმა უნდა თუ არ ეწინააღმდეგება არსებული ქვეყნის კონსტიტუციას. შესაბამისად სახელმწიფოში არსებული

[29] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა, გამომც. გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი, გვ. 51

[30] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007წლის 26 დეკემბრის საქმე N1/3/407 გადაწყვეტილება

კანონდებლები ვალდებულები არიან გაითვალისწინონ კონვენციის მთავარი დებულებები და ეროვნული კანონმდებლობა მოარგონ მას.[31]

ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მკაცრადაა დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვით კუთხით პირველი ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის შემდგომაც უამრავი ცვლილება შევიდა კანონში, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით იწყება, კერძოდ ,,გრისვოლდი კონექტიკის წინააღმდეგ“ , რომელშიც პირველად იქნა აღირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხე და მეხუთე შევიწროების გარეშე. [32] ამის შემდგომ იწყება შესაბამისი კანონების მიღება, რომლებიც ჯერ კიდე 1968–1978 წლებში დაიწყო, როდესაც კონგრესმა ხუთი კანონი მიიღო, მათ შორის პირველი კი ,, დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების“ აქტი იყო. [33] აღნიშნული კანონით რეგულირდებოდა სატელეფონო საუბრის მოსმენისა და ფარული მიყურადების ფაქტები. 1980 წელს კონგრესის მიერ მიღებული კანონით, რომელიც არეგულირებდა პერსონალური დაცვის მონაცემების კონტროლს და სამართალდამცავი ორგანოების მიერ პიროვნების პირადი მონაცემების დაცვის საკითხებს აღმოჩნდა ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი შტატების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.[34] ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მით უფრო იზრდებოდა რისკი პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, რადგან ბევრად უფრო მარტივი გახდა საგამოძიებო ორგანოს მხრიდან გაკონტროლებულიყო როგორც პირადი მონაცემები, ასევე მიმოწერა,

---

[31] კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, სტატიათა კრებული "ადამიანის უფლებათადაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში'', თბილისი 2004.

[32] https://supreme.justia.com/cases/federal/us/381/479/ { ბოლო ნახვის თარიღი 12/06/2021}

[33] ოქროაშვილი, მ. ,პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005, გვ.18

[34] The Privacy Protection Act of 1980, 42 U.S.C. § 2000aa et seq. (2002).

სატელეფონო საუბრები, სოცილიალური ქსელით პიროვნებებს შორის კონტაქტი და მრავალი სხვა. ისევე როგორც ევროპის წამყვან ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, იმისათვის რომ ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელია სასამართლოს განჩინება. თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ როგორ მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ტარდება თუ არა სრულად კანონდებლოს შესაბამისად, ხომ არ არის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, მთავარი გამკონტროლებელი ორგანო სასამართლო გახლავთ. სასამართლო მკაცრად ავალდებულებს სამართალდამცავ ორგანოებს, მინიმუმადე დაიყვანონ სატელეფონო მოსმენებები, არ დაარღვიონ ,,მინიმიზაციის წესი", განსაკუთრებით თუ საქმეში მესამე პირები ფიგურირებენ, რომელთა მოსმენაც სრულიად უსარგებლოა გამოძიების პროცესისთვის.[35] თუმცა საკმაოდ რთულია სასამართლოსთვისაც, რაც არ უნდა ძლიერი კონტროლის მექანიზმი არსებობდეს სრულად დაიცვას ის პირები, ვისთანაც ბრალდებულებს უწევთ კომუნიკაცია, სატელეფონო მოსმენისგან. მხოლოდ შესაძლებელია ამ მოქმედებების მინიმუმადე დაყვანა. დღეს დღეობით იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ექმნება ეროვნულ უსაფრთხოებას შტატებში სატელეფონო მოსმენებს არეგულირებს კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ აქტი. რასაკვირეველია, აქ გასამიჯნია საფრთხე ექმნება ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას თუ ქვეყნის გარე ძალებიდან მოდის საფრთხე , რადგან კანონის მოქმედება განსხვავებულია ამ ორ შემთხვევაში. კერძოდ, ქვეყნის შიდა საფრთხის შემთხვევაში მოქმედებს კონსტიტუციის მეოთხე მუხლით დადგენილი სტანდარტები.[36] შტატებში არსებული კონსტიტუციის მეოთხე მუხლის შესწორებული ვერსიის თანახმად, დაუშველია დაირღვეს ადამიანის უფლება საკუთარი მონაცემების, საცხოვრებლის, ქონების დაცვის დაუსაბუთებელი, უკანონო ჩხრეკვისგან ან დაპატიმრებისგან. იმისათვის ,რომ ჩატარდეს ჩხრეკა ან/და დაპატიმრება

[35]ოქროაშვილი, მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005, გვ.22
[36]იქვე. გვ.23

უნდა არსებობდეს ძალიან მტკიცე დასაბუთებელი ვარაუდი. ჩხეკის ორდერში გაწერილი უნდა იყოს ვის მიმართ მიმდინარეობს არსებული ღონიძიება, ჩხრეკის ადგილი, ამოღებული მტკიცებულებები და მრ.სხვა.[37] არსებული ვერსიის გამოყენებიდან დღემდე უამრავი წელი გავიდა, შესაბამისად კანონმდებლობაც ეტაპობრივად იხვეწებოდა, შესაბამისად არსებობდა ისეთი სიტუაციებიც, როდესაც მოქმედება ,,გადაუდებელი აუცილებლობით" იყო გამოწყვეული, შესაბამისად იმისათვის რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ შეექმნათ პრობლემა დანაშაულთან ბრძოლაში, შესაბამისად ეს ტერმინი დამკვიდრდა კანონმდებლობაში.[38]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ამ გადაწყვეტილების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს შემდეგს, რომ „ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული ,რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა". [39]

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე საუბრისას, აუცილებელია განხილვა, რა დროს არის შესაძლებელი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა ან/და მისი შეზღუდვა. საქართველოს

---

[37]ოქროაშვილი, მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005, გვ.25

[38] წიქარიშვილი კ., ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლისსამართლის საპროცესო სისტემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2002. გ ვ .149

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის საქმე N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ,,ნებისმიერი კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ფორმასა და ფარგლებს. ყველა უფლებაში ჩარევა ვერ იქნება ერთნაირი, რაც ერთ მნიშვნელოვნად იკითხება კიდეც კონსტიტუციის მეორე თავიდან“[40]აქედან გამომდინარეობს სწორედ, რომ ყველა უფლებაში ჩარევა განსხვავებულია, კონკრეტული შემთხვევაში მიუთითებს, მასზე არსებულ საჯარო ინტერესზე.

იმისათვის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში მოხდეს ჩარევა ან მისი შეზღუდვა, აუცილებელია არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილება ან გადაუდებელი აუცილებლობა. შესაბამისად კანონმდებელი ამ უფლების დაცვის მაღალ სტანდარტებს გვთავაზობს. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩარევა მოხდეს თუ არა ადამიანის პირად ცხოვრებაში, გამომდინარეობს იქედან, რომ სასამართლო ეს არის ცალკე დამოუკიდებელი ინსტიტუტი, სადაც მოსამართლე მესამე პირების ჩარევის გარეშე, მიიღებს გადაწყვეტილებას, ისე ,რომ როგორც დაიცვას საჯარო ინტერესი და ხელი შეუწყოს ეროვნულ უსაფრთხოებას, ასევე უსამართლოდ არ დაზიანდეს პიროვნებისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, არ გამორიცხავს, რომ არ მოხდეს არათანაზომიერი ჩარევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, სწორედ ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება შექმნილი იქნას საკანონმდებლო გარანტიები, რითაც უფრო მეტად იქნება დაცული პიროვნება.[41] გარდა ამისა მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მნიშვნელოვანი არგუმენტებით გამყარებული, მოსამართლეს ამის შესაძლებლობას რა თქმა უნდა კანონმდებლობა უნდა

---

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის საქმე N1/3/407 გადაწყვეტილება. გვ.24

აძლევდეს, რომელიც აუცილებლად, მკაფიო, ამომწურავი, ყველასთვის გასაგები, არაბუნდოვანი უნდა იყოს, რათა მოსამართლეს საშუალება მიეცეს მისი სწორად გამოყენების , კანონმდებლობაშივე უნდა იყოს პასუხი, თუ რა საკითხების შემცველი უნდა იყოს გადაწყვეტილების შინაარსი, რათა არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები.[42] სწორედ აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე პირს შეეზღუდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ძალიან მნიშვნელოვანი კონსტიტუციური გარანტიაა არამარტო თვით ამ უფლების დაცვის კუთხით, არამედ იმისათვის, რომ დაბალანსდეს საჯარო და კერძო ინტერესები, ამ შემთხვევაში მოსამართლე უდიდეს როლს თამაშობს. [43]

საქართველოს კონსტიტუცია გარდა სასამართლო გადაწყვეტილებისა, კონსტუტუციის მეთხუტმეტე მუხლის უფლების შეზღუდვას შესაძლებლად მიიჩნევს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც. სწორედ ამიტომ აუცილებელია განვმარტოთ, თუ რა არის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა და რა შემთხვევაში შესაძლებელია შეფასდეს ქმედება გადაუდებელ აუცილებლობად. ამ ცნების არსი უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა, შესაბამისად, საკმაოდ მკაცრადაა გაწერილი ყველა ის მახასიათებელი, რაც მისთვისაა დამახასიათებელი, შესაბამისად, ის კონკრეტული შემთხვევა, რომელიც კანონმდებელის მიხედვით არ არის შეფასებული, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა, არ შეიძლება მოექცეს ამ ცნების ქვეშ.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის დროს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, დაცული უნდა იქნეს საჯარო ინტერესი, მაგრამ აუცილებლად დასაბუთებელი უნდა იქნეს, რომ საჯარო ინტერესების მიღწვევა შეუძლებელი იქნებობოდა, თუ არ მოხდებოდა პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, არ

---

[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის საქმე N1/3/407 გადაწყვეტილება. გვ.24

[43] იქვე, გვ.24

არსებობდა სხვა ალტერნატივა ამ მიზნის მისაღწევად, ამ დროს აუცილებელია მყისიერი მოქმედება და დრო იმდენად მცირე უნდა იყოს, რომ შეუძლებელი იქნას სასამართლო გადაწყვეტილებაზე დალოდება.

II. პირადი ცხოვრების საიდუმლოებასთან დაკავშირებული პროცედურები ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას

საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, ასევე პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას.[44] ფარული საგამოძიებო მოქმედებებოს ჩატარებისას კი ამ უფლებების ხელყოფის და არამართზომიერი ჩარევის რისკი საკმაოდ მაღალია. საქართველოში 2014 წლამდე ფარული საგამოძიებო მოქმედებები ,,ოპერატიული–სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით რეგულირდებოდა, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის დევნის დაწყებამდე აძლევდა საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელ ორგანოს ფარული მოქმედებების ჩატარების საშუალებას, ხოლო მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის დევნა დაიწყებოდა, უკვე მოსამართლის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.[45] ეს ჩანაწერი თავისთავში მოაიზრებდა გარკვეულწილად პრევენციულ მოქმედებებს, რომლის დროსაც შეეძლო საგამოძიებო ორგანოს ემოქმედა მანამდე, სანამ სისხლის სამართლებრივ დევნას დაიწყებდა.[46] 2014 წლიდან კი ცვლილება შევიდა კანონში, რომლის მიხედვითაც უკვე აუცილებელი გახდა, როგორც კონტროლი პროკურორის მხრიდან, ასევე სასამართლოსა და შემდგომში უკვე სახელმწიფო ინსპექტორის მხრიდან.

ფარული საგამოძიებო მოქმედება განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მიხედვით. ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებად მიჩნეულია, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და მისი ჩაწერა კავშირგაბმულობის საშუალებებით, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის

---

[44] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 { ბოლო ნახვის თარიღი 14.06.2021}

[45] ოპერატიული ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, ,,რისკები და გამოწვევები", გამომც. დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტი 2020 წ

[46] იქვე, გვ7

კონტროლი, გარდა დიპლომატიური ფოსტისა და ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, იმ შემთხვევაში თუ ის ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას[47]. არსებული ჩამონათვალი არის სრულყოფილი და მოიცავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ყველა სახეს, იმ შემთხვევაში თუ იარსებებს სათანადო საფუძველი, ფაქტებზე დაყდნობით შესაძლებელია რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმდება ჩატარდეს ერთდროულად.[48] ფარული საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, რომელსაც ითვალისწინებს სსსკ-ს შესაბამისი მუხლები. აღსანიშნავია, ისიც, რომ არსებული საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას აუცილებლად სახეზე უნდა გვქონდეს, რომ მიღწეული იქნება ლეგიტიმური მიზანი და საფრთხე ექმნება ქვეყანაში არსებულ დემოკრატიისთვის აუცილებელ მიმდინარე პროცესებს, დაცული უნდა იყოს მოსახლეობის უსაფრთხოება და ადგილი არ ჰქონდეს უწესრიგობას.[49] რა თქმა უნდა სახეზე უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება და არსებული მიზნის მიღწევა სხვა უფრო მარტივი გზით შეუძლებელი უნდა იყოს, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ინტენსივობა, აუცილებელია იყოს პროპორციული არსებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის.[50] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლოდ მტკიცებულების მოპოვება დანაშაულის გახსნისთვის ვერ იქნებოდა მოსამართლისთვის საკმარისი, იმისათვის რომ გაეცა ნებართვა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის, ასევე აუცილებელი ფაქტორია დამტკიცდეს, რომ ეს მტკიცებულებები ვერანაირად ვერ იქნებოდა

[47] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0 { ბოლო ნახვის თარიღი 15/06/2021}

[48] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 427

[49] იქვე. გვ428

[50] იქვე გვ.429

მოპოვებული სხვა გზით, ან/და პროცესი შეიძლებოდა ისეთი ხანგძლივი პერიოდით გაგრძელებულიყო, რომ აზრს დაკარგავდა.[51]

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთი სახეა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის, მოქმედებს შემდეგი წესი, კერძოდ, პროკურორი შუამდგომლობას აყენებს რაიონული სასამართლოს მოსამართლესთან და მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, პიროვნება, რომლის მიმართაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, უშუალო კავშირშია და მისგან მომდინარეობს ინფორმაცია, რომელსაც ან თვითონ იყენებს ან სხვას გადასცემს საკომუნიკაციო საშუალებებით.[52] პროკურორი საკუთარ შუამდგომლობაში ასახავს იმ მტკიცებულებებს ან პროცედურებს, რაც მოპოვებული ჰქონდათ მანამდე, რომლითაც ვერ გავიდნენ საბოლოო შედეგზე და ესაჭიროებათ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. პირი, რომელიც კანონით განიზაღვრება, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი, ის ამონტაჟებს სპეციალურ აპარატურას, იყენებს კავშირგაბმულობის ყველა ხერხს, ინფორმაციას იღებს მეილსერვისებიდან, კავშირგაბმულობის ხაზებიდან.[53] მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას, თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად განიხილავს არაუმეტეს 24 საათისა, შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გარეშეც, თუმცა ძირითადად ტარდება დახულ სხდომაზე ზეპირი მოსმენით, რის შემდგომაც მოსამართლე გადაწყვეტს გასცეს თუ არა ნებართვა, რომელიც შედგება 4 ეგზემპლარად. [54] პერსონალური მონაცემთა დაცვის ინფექტორი კი მიიღებს სარეზოლუციო ნაწილსა და მხარეთა რეკვზიტებს, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია ასევა გადაუდებელი აუცილებლობა, რომლიც დროსაც ფარული საგამოძიებო მოქმედება

[51]ისაქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 430
[52]იქვე გვ. 431
[53] იქვე გვ.431
[54] იქვე გვ.431

ტარდება მოსამართლის შუამდგომლობის გარეშე.[55] ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოსამართლისთვის შუამდგობლობის მომზადება და მისი განხილვის პროცესი, დროის ინტერვალის გამო, შეიძლება გამოიწვიოს ამ პერიოდში მტკიცებულებების განადგურება, ასევე შეუძლებელი გახდეს ან ინფორმაციის მოპოვება სხვა დროისთვის. თუმცა რა თქმა უნდა ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის მანძილზე პროკურორი ვალდებულია მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ სასამართლოს, რომ ჩატარებული მოქმედებები იცნოს კანონიერად. შესაბამისად მოსამართლე წყვეტს საკითხს ან ცნოს ფარული საგამოძიებო მოქმედება კანონიერად და გაგრძელდეს შესაბამისი პროცედურები, ხოლო უკანონოდ ცნობის შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების, შეწყვეტის, გაუქმებისა და მოპოვებული მტკიცებულებების განადგურების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება კანონიერიაა, მოსამართლე განჩინებაში ვალდებულია მიუთითოს, თარიღი, მოსამართლის სახელი და გვარი, ვის მიმართ ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება.[56] მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებისთვის და შუამდგობლობის განხილვითსვის შეუძლია გამოითხოვოს მოპოვებული მტკიცებულებების ერთი ეგზემპლარი, რომელსაც შემდეგ დადგენილი წესით გაანადგურებს. იმ შემთხვევაში თუ ბრალდების მხარე არ გამოიყენებს კანონიერად ცნობილ ფარულ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შუამდგობლობით რაიონული სასამართლოს მოსამართლეს და არსებული მტიცებულებები უნდა განადგურდეს შესაბამისი წესით.[57] არსებობს შემთხვევები, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოვლინდება ახალი დანაშაული, რომელზედაც არ იყო მანამდე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა, შესაბამისად ამ მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი წყდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

[55] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 432
[56] იქვე. გვ.432
[57] იქვე, გვ.432

143[1] მუხლის მეორე ნაწილის გათვალისწინებული გარემოებების გარეშე, სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შესაბამისი წესით.[58]

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლე განჩინებას გასცემს არაუმეტეს ერთი თვის ვადით, იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო ორგანოსთვის ეს პერიოდი არ იქნება საკმარისი ინფორმაციის მოსაპოვებლად, დაუშვებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განჩინების საჯაროდ გამოცხადება.[59] იმ შემთხვევაში თუ 30 დღე ისე გავიდა, რომ არ იქნას დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედება მაშინ ის ძალას კარგავს. პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება და მისთვის ეს ცნობილი გახდა, უფლება აქვს ერთჯერადად გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში, შესაბამის საგამოძიებო კოლეგიაში, 48 საათის განმავლობაში.[60] იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, ეს იქნება საფუძველი, რომ უკვე მოპოვებული მტკიცებულელები და ინფორმაცია იცნოს დაუშვებლად, შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგეს მოთხოვნა, რომ პირმა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან მისი პერსონალური მონაცემებსა და პირად ინფორმაციებს უკანონოდ იპოვებდა საგამოძიებო ორგანო.[61] იმ შემთხვევაში თუ პირისთვის სამართალწამოების შემდგომ გახდა ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, მას შეუძლია მას შემდეგ რაც მიიღებს ინფორმაციას და განმარტებას, რომ აქვს განჩინების გასაჩივრების უფლება, მას შეუძლია არსებული განჩინება გაასაჩივროს სააპელაციო სამართლოში ერთი თვის ვადის გასვლამდე.[62] სააპელაციო კოლეგია არსებულ საჩივარს განიხილავს 72 საათის განმავლობაში, შეტობინების საფუძველზე, როგორც საჩივრის

[58] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 435
[59] იქვე, გვ.435
[60] იქვე, გვ.435
[61] იქვე, გვ.436
[62] იქვე, გვ.436

შემომტანის, ასევე ბრალდების მხარესთვის, რომ გამოცხადდნენ სასამართლო პროცესზე, თუმცა მათი არ გამოცხადება საქმის განხილვისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. [63]

ფარულ საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი ორგანო განსაზღვრულია სისხლის სასამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. ფარული საგამოძიებო მოქმედების დამახასიათებელი სახეები, როგორიცაა მაგალითად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, მისი ჩაწერა, სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებისგან განსხვავებით მიმდინარეობდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც დარეგულირებული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით.[64] ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი ორგანო ვალდებულია და მას ეკისრება პასუხისმგებლობა არსებული მოქმებების კანონიერად, ყველა კრიტერიუმის დაცვით განხორციელებაზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების პერიოდში აუცილებელია განზრახვა და შემდგომ მისი აღრიცხვა, თუ რომელი სახე იქნა გამოყენებული, რა ტექნიკური საშუალებით, მოქმედების არეალი, დაწყების და დასრულების თარიღი და მრავალი სხვა. [65] პროკურორს ენიჭება უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ასევე შესაძლებელია, რომ მას მიმართოს გამომძიებელმა.[66] შეწყვეტის საფუძვლები შემდეგნაირია, შესაძლოა შეწყდეს სისიხლის სამართლებრივი დევნა იმ კონკრეტულ პიროვნებაზე, ასევე უკვე შესრულდა ის მისია, რისთვისაც დაიწყო ფარული საგამოძიებო მოქმედება, ყველა გარემოება გამოვლინდა, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელი ხდება ამ ფარული საგამოძიებოო მოქმედების შედეგად მიზნის მიღწევა და ბოლოს შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ყველა

[63] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 437
[64] იქვე, გვ.438
[65] იქვე, გვ.439
[66] იქვე, გვ.440

ვადა ამოიწუროს. [67] ფარული საგამოძიემო მოქმედების ჩამტარებელი ორგანო კი ადგენს შესაბამის ოქმს, სადაც განსაზღვრას ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დროს, ასევე ვის მიმართ იყო განსაზღვრული ამ მოქმედების ჩატარება, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, არსებული ოქმი კი გადაეცემა პროკურორს და ყველა წესის დაცვით დაცვის მხარესაც. [68] აუცილებელია ფარული გამოძიებო მოქმედების განმახორციელებელმა ორგანომა შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად აირიდოს იმ პირზე დაკვირვება, რომელსაც კავშირი არ აქვს გამოძიებათან. აქ იგულისხმება ის მესამე პირები რომლებთანაც შესაძლოა ბრალდებული ამყარებდეს პირად კომუნიკაციებს. ჟურნალისტის, სასულიერო პირის, ექიმის, ადვოკატის, იმ პირის მიმართ ვისაც გააჩნია იმუნიტეტი, მათზე ფარული საგამოძიებო მოქმედება დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ ხდება მათი პროფესიული საქმიანობიდან ინფორმაციის მოპოვება, რომელიც კანონითაა დაცული, მაგალითად დაუშვებელია მღვდელისთვის აღსარების ჩაბარების პროცესში მიყურადება და შემდგომ ამ მტკიცებულებების გამოყენება. კანონმდებელი გვეუბნება, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ადვოკატის და კლიენტს შორის არსებული კომუნიკაცია, რომელიც ეხება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას და კონფიდენციაულურია, მას იცავს კანონი. აქ მნიშვნელოვანია ზღვარი გაევლოს ადვოკატის პირად კომუნიკაციებს და იმ კომუნიკაციას რომელსაც ის კლიენტთა ახორციელებს. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელმა ორგანომ სწორედ ამ პრინციპის მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს და დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ის მტკიცებულებები, რომელიც ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილია.

---

[67] ხოდელი,მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.გვ.36

[68] იქვე. გვ37

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელსაც პროკურორი ვერ გამოიყენებს გამოძიების პროცესში, რადგან არანაირი ძალა არ გააჩნია, მისი გადაწყვეტილებით უნდა განადგურდეს. ასევე უნდა განადგურდეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც მოსამართლის განჩინების გარეშე იყო პროცესი დაწყებული, თუმცა შემდგომ სასამართლოს მხრიდან იქნა კანონიერად მიჩნეული,მაგრამ ბრალდების მხარეს არ გამოიყენა სასამართლო პროცესზე არსებითი მტკიცებულებების განხილვის ეტაპზე. [69]თუ ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების შედაგად მოპოვებული იქნა პირის პირადი ინფორმაცია, რომელიც საჭირო არ იყო გამოძიებისთვის და ასახავს პირის პირადი ცხოვრების ან საქმიანობის ფაქტს, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც საქმეს შეიძლება თან დაერთოს როგორც ნივთიერ მტკიცებულებებად ინახება სასამართლოში, შესაბამისი ვადის დაცვით, რაზეც პასუხისმგებელია სასამართლო ადმინისტრაცია, რათა არ მოხდეს მათი ვინმე პირზე ხელმისაწვდომობა და სათანადოდ იქნეს დაცული. ,,ფარულ საგამოძიებო მოქმედებებების შედეგად მოპოვებულ მტკიცეულებას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის გაჩნინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.“[70] აღნიშნული

[69] ხოდელი,მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.241

[70]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 431

მოქმედების ჩატარების შესახებ დგება ოქმი, რომელიც გადაეცემა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსფექტორს, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვის კომისიას, აუცილებელია აისახოს ფარული საგამოძიებო მოქმედების სასამართლო რეესტრში, რის შემდგომაც სრულდება ყველა პროცედურა, რაც ესაჭიროებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[8] მუხლის 5 ნაწილის გათვალისწინებულ საპროცესო მოქმედებებს.[71] ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციას შესაძლებელია გაეცნოს მოსამართლე, საქმის გამოძიებელი ან/და პროკურორი, თუ უშუალოდ ამ საქმეზე მუშაობს თითოეული მათგანი. ასევე დაცვის მხარეს, როდესაც წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე მოხდება მხარეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაცვლა, რომლის შემდგომ სასამართლოში წარდგენას აპირებენ.[72] ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდგომ მოპოვებული ინფორმაციის და მისი განადგურების შესახებ უნდა ეცნობის პირს, ვის მიმართაც ხორციელდებოდა აღნიშნული მოქმედება, აუცილებელია ამ პიროვნებისთვის გადაცემა ინ გაჩნინების, რომლითაც მიიღო მოსამართლემ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაწყვეტილება, რა მტიცებულებების საფუძველზე .[73] ასევე თუ ექნება სურვილი განემარტოს, რომ აქვს გასაჩივრების უფლება. პროკურორის უფლებამოსილებაში შედის მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ პროკურორი ერთი წლის ვადაში არ აცნობებს პირს ამ ინფორმაციას, ის ვალდებულია თორმეტი თვის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა მიმართოს შუამდგომლობით მოსამართლეს, რომელმაც მიიღო განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

[71] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 431
[72] იქვე, გვ.433
[73] იქვე, გვ.434

და მოითხოვოს ვადის გადაწევა არაუმეტეს კიდევ თორმეტი თვე.[74] თუმცა აუცილებელია დაასაბუთოს ის საფრთხე, რაც შეიძლება ჰქონდეს ამ პიროვნებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხელს შეუშლის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. მოსამართლე უფლებამოსილია არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში განიხილოს არსებული შუამდგომლობა ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე, დაკმაყოფილების შემთხვევაში ვადა გაგრძელდება არაუმეტეს თორმეტი თვით.[75] 2014 წლამდე მანამ სანამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები არ შევიდა, მოქალაქეს არ ატყობინებდენ, რომ მის მიმართ ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, არსებული ცვლილება კი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებებს.[76] ვინაიდან კანონდებლობა პროკურორს ანიჭებს საშუალებას 12 თვის ვადაში, თუ აღნიშნული საქმე მოითხოვს არ შეატყობინოს მოქალაქეს, რომ მის მიმართ მიმდინარეობდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, მაშინ როდესაც შესაძლოა დროული შეტყობინებით მან მოახერხოს მისი უფლების მყისიერი დაცვა, სწრაფი რეაგირება, ბევრად უმჯობესი იქნებოდა ნებართვის გაცემისას მოსამართლეს განესაზღვრა იმ პირის მიმართ ვისზედაც მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეტყობინების დრო.[77]

2012 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრების წამების ამსახველი კადრების გავრცელება, იყო ესე ვთქვათ გარდამტეხი, რომ კანონდებლობაში შესულიყო ცვლილებები. რადგან ამ კადრების გავრცელების შემდგომ გაირკვა, რომ შინაგან საქმეთა

---

[74] ხოდელი,მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.გვ.35

[75] იქვე. გვ.36

[76]ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, გამომც.დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი 2020

[77]ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, გამომც.დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი 2020.გვ.18

სამინისტრო ინახავდა ფარულ ჩანაწერებს, როგორც პატიმრების ასევე მოქალაქეების, რაც შემდგომში მთავრობის განკარგულებით შემქნილმა კომისიამ გაანადგურა, აღნიშნულ ფაქტებზე კი დაიწყო გამოძიება.[78] 2014 წლიდან უზენაეს სასამართლოს დაეკისრა ვალდებულება, გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში, ფარული საგამოძებო მოქმედებების შესახებ შუამდგომლობების რაოდენობის, რომელიც სასამართლოში შევიდა, რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა უარი მაგისტრანტი მოსამართლის მხრიდან. 2012 წლის კადრებმა ასევე აჩვენა, რომ ცვლილება უნდა განხორციელებული როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონმდებლოაბში, ასევე ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონშიც, რის შემდეგაც მიღებული იქნა, რომ საგამოძიებო მოქმედებები ხორციელდება ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.[79] 2019 წლიდან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია ყველა სამოხელეო დანაშაულზე.[80]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ერთ-ერთი სახეა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, რომელიც დღემდე ძალიან დიდი დისკუსიის საგნად რჩება, ვინაიდან 2014 წლამდე ეს უკანასკნელი მიეკუთვნებოდა ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის მოძველებულ, პოსტ-საბჭოთა გადმონაშთ მოდელს.[81] შესაბამისად მისი მკაცრი რეგულირება საპროცესო ნორმებით ვერ ხერხდებოდა, სწორედ ამიტომ 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მარეგულირებელი ნორმები შემოვიდა კანონმდებლობაში, რამაც ეს პრობლემა თითქოს და შედარებით დააბალანსა. უტყუარი ფაქტია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ძალიან ეფექტური ხერხია,

---

[78] ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, გამომც.დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი 2020.გვ.7

[79]იქვე გვ.8

[80]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 432

[81]უსენაშვილი, ჯ. , სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი 2002. გვ.82

რათა გამოძიებამ სწრაფად და ბევრად მარტივად მოიპოვოს ის მტკიცებულებები, რაც საქმის გახსნაში დაეხმარება, თუმცა რა თქმა უნდა სამსჯელოა იქნება თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედების ეს ფორმა კონსტიტუციასთან შესაბამისი და მოქცეულია თუ არა კანონის სამართლებრივ ჩარჩოებში.[82] საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ფარული მიყურადებისას, აუცილებლად უნდა განისაზღვროს ობიექტი, ვის მიმართაც მიმდინარეობს ეს პროცესი, უშუალოდ იმ პირის მოსმენა უნდა მიმდინარეობდეს, ვისაც უშუალო კავშირი აქვს კონკრეტულ დანაშაულთან, თუ ადრესატი არასწორადაა შერჩეული, აუცილებლად უნდა შეწყდეს ფარული მიყურადება და მასალები გადადგურდეს.[83] თუმცა პირი, ვის მიმართაც მიმდინარეობს ფარული მიყურადება, მისი სატელეფონო საუბრის წრეც საკამოდ ფართოა, ამიტომ ძალიან რთულია ამ შემთხვევაში დაცული იყოს მესამე პირების უფლება, რომელიც მართალია დანაშაულთან კავშირში არ არიან, მაგრამ ამ პიროვნებასთან აქვთ კომუნიკაცია. სწორედ აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, კანონმდებელი მოიაზრებს, რომ უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს პირი უშუალო კავშირშია დანაშაულთან, იღებს ან გასცემს ინფორმაციას, ან მისი საკომუნიკაციო საშუალებები გამოყენებულია დამნაშავე პირების მიერ.[84] ძალიან მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია, მოსახლეობის ნდობის ამაღლების კუთხით, ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდგომ, არსებული მონაცემების აღრიცხვა ფარულ საგამოძიებო მოქმედების რეესტრში.[85] ვინაიდან პროცესი მეტად

---

[82] ხოდელი,მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.გვ.35

[83] იქვე, გვ.36

[84]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 431

[85] ხოდელი,მ.,სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.38

გამჭირვალეა და რაც მთავარია საჯარო, ამ ინფორმაციაზე წვდომა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს დაინტერესების შემთხვევაში. აგრეთვე ძალიან მნიშნველოვანია, რომ პირს რომლის მიმართაც განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდგომ საგამოძიებო ორგანო ვალდებულია შეატყობინოს მას, ვინაიდან თუ პიროვნებას ინფორმაცია არ ექნება, რომ მის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებაში ჩაერივნენ, შესაბამისად ვერც კი იფიქრებს როგორ დაიცვას საკუთარი თავი მსგავსი ფაქტისგან.[86] სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება ძირითად შემთხვევაში ამართლებს იმ პრაქტიკას რაც ევროპის ქვეყნებშია დანერგილი, შესაბამისად ჩვენ არ გვაქვს უფლება მივიჩნიოთ, რომ ამ ტიპის მოქმედებები კანონდარღვევაა, ვინაიდან იმისათვის რომ ქვეყნაში დაცული იქნას ეროვნული უსაფრთხოება და წესრიგი, ერთ-ერთი ყველა ეფექტური საშუალებაა.[87] რა თქმა უნდა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის პრაქტიკა რაც გვაქვს და საკანონმდებლობა ნორმები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდიოდეს, რადგან ერთია როგორი მოწესრიგებული კანონმდებლობა აქვს ქვეყანას, მაგრამ მეორე საკითხია ხორციელდება თუ არა ასევე ეფექტურად აღნიშნული ნორმა პრაქტიკაში. [88]

2014 წელს, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდა, ახალი საკანონმდებლო პაკეტის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრებაში კვლავ დარჩა, ეგრეთ წოდებული სერვერები, რომელიც ,,შავი ყუთის“ სახელითაა მოხსენიებული და შეუძლია როგორც სატელეფონო საუბრის, ასევე ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებით გადაცემული ინფორმაციების წაკითხვა.[89] სწორედ აქედან გამომდინარე დაიწყო კამპანია ,, ეს შენ გეხება ისევ გვისმენენ“, რომელიც აპროტესტებდა, რომ შინაგან საქმეთა სამინიტროს

---

[86] ხოდელი,მ.,სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.40

[87] იქვე.გვ.40

[88]იქვე.გვ 53

[89]https://www.transparency.ge/ge/content/stub-577 { ბოლო ნახვის თარიღი 16/06/2021}

შეეძლო ნებართვის გარეშე კვლავ უკანონოდ მოეპოვებინა და განუსაზღვრელი დროით მოესმინა მოქალაქეებისთვის, რისი კონტროლიც საკმაოდ რთული იქნება.[90] რაღა თქმა უნდა იმ პერიოდისთვის ასევე სერიოზული კრიტიკა გამოიწვია ორეტაპიანმა ელექტრონული სისტემის გამოყენებამ, რადგან შინაგა საქმეთა სამინისტროს კვლავ რჩებოდა მიეღო ინფრომაცია ინტერნეტ პროვაიდერებისგან, კონტროლის მექანიზმი კი ძალიან სუსტი იყო, პეროსნალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მონაცემებს ამოწმებს სასამართლოს, პროკურორის და ელექტრონული საკამუნიკაციო საშუალების მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიღებული მასალების შედარების და მოპოვებული გზების კანონიერების კუთხით, მაგრამ ,,კონტროლის ამგვარი მექანიზმი ფორმალური ხასიათისაა, ვინაიდან შსს ინტერნეტ პროვაიდერებიდან ინფორმაციის მოპოვების პროცესს იწყებს ყოველგვარი გარე კონტროლის გარეშე. ინსპექტორი შემოწმებისას მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს კეთილ სინდისიერებაზე არის დამოკიდებული: რამდენად სწორ ინფორმაციას მიაწვდის ეს უკანასკნელი. ასევე, გაურკვეველია, თუ რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ინსპექტორს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელმა, მაშინ როდესაც არსებული სისტემით კომპანიასთან არ მიდის განჩინება და შესაბამისად, მისთვის უცნობია, თუ რა სახის და რაოდენობის ინფორმაცია მიაქვს მისი ქსელებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს.“[91]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შედეგაც, შესაძლოა გამოკვლეული იქნას ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატის გადაადგილების არეალი, ცხოვრების წესი, საქმიანობა, კონტაქტები, სანაცნობო წრე და მრავალი სხვა. [92] სწორედ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ დაცული იქნას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, რომლის მეცამეტე

[90] https://www.transparency.ge/ge/content/stub-577 { ბოლო ნახვის თარიღი 16/06/2021}
[91] https://www.transparency.ge/ge/content/stub-577 { ბოლო ნახვის თარიღი 16/06/2021}
[92] Democratic and efective oversight of national security services , page 65

მუხლი განსაზრავს, რომ ,,ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურეობრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.[93] კონვენციის მეცამეტე მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანის უფლებათა დამცველად უნდა მოგვევლინოს სახელმწიფო, რომელიც იცავს ყველას მსგავსი ფაქტებისგან, გვევლინება მთავარი დამცველის როლში, თუნდაც სამსახურეობრივი მოვალეობის დროს არსებობდა მსგავსი ფაქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლის შინაარსი და მოცულობა საკმაოდ ფართოა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი გამყარებულია კონსტიტუციის სხვა მუხლებითაც, რაც ერთგვარ გარანტს წარმოადგენს ადამიანისთვის, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მუხლის შინაარსი ბოლომდე არ მიესადაგება კონკრეტულ საქმეს, ის გარანტირებულად შევსებული იქნება სხვა მასთან ურთიერთკავშირში მოსული ნორმებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისას, საქმეზე ,,საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით საუბარი გულისხმობს ორი, ან მეტი პირის მიერ საკომუნიკაციო საშუალებებების გამოყენებას, როგორიცაა მობილური ტელეფონი, სოციალური ქსელი და მრავალი სხვა,

[93]ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა, გამომც. გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი, გვ. 52

საუბარი მიმდინარეობს ვერბალურად, რაც შეეხება პირად მიმოწერას, ამ დროს დაცულია, როგორც ტელეფონით არსებული პირადი შეტყობინებები, ასევე სოციალური ქსელებით, ფოსტის მეშვეობით მოსული შეტყობინებები. [94]„კონსტიტუციის მიზანი ამ შემთხვევაში არის, დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. ამ უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები“ [95] შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას დაცულ სფეროდ უნდა მოვიაზროთ არამხოლოდ პირადი კომუნიკაციის ანონიმურობა და მასში ჩაურევლობა სახელმწიფოსგან, ასევე მესამე პირებისგან და ყველა იმ პირებისგან ვისაც შესაძლოა გაუჩნდეს სურვილი ხელმისაწვდომი გახადოს მისთვის უკანონოდ საქართველოს კონსტიტუციის მეთხუტმეტე მუხლით დაცული უფლება.

აღნიშნული უფლება თავად აძლევს ადამიანებს საშუალებას თვითონ შექმნან საკუთარი საკომუნიკაციო წრე, აარჩიონ სასაუბრო თემა, ისე რომ არ ჰქონდეთ შეგძნება, რომ მათ საუბარს ვინმე აკონტროლებს, მათ მოქმედებებს იღებენ და მრავალი სხვა პროცედურები, რაც სიტყვაზე თუნდაც ფარულ საგამოიებო მოქმედებებს ახასიათებს. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ,,თავისუფალი თვით გამოხატვა

---

[94] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N 1/1/625 ,,საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გვ.7

[95]იქვე გვ.8

შესაძლებელია სწორედ მხოლოდ აბსოლიტური თავისუფლებით, ნებელობით, პერსონალური გადაწყვეტილების მიხედვით, სასურველი დოზითა და ფორმით ინდივიდუალიზმის დემონსტრირებით."[96] სწორედ აღნიშნულ პროცესებს გულისხმობს სახელმწიფოში არსებული დემოკრატიულად მართული სისტემები, თუ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა იქნება დარღვეული, ძალის დემოსნტრირებით, უკანონოდ, ყოველგვარი სასამართლოს ნებართვის გარეშე (საგამოძიებო უწყებებთან მიმართებაში), მაშინ რაღა თქმა უნდა საქმე გვექნება სახელმწიფოში არსებული სისტემის დემოკრატიულ პრონციპებთან შეუსაბამობაში მოყვანასთან. ეს უკანასკენლი კი ქვეყნისთვის ძალზედ საზიანოა, რადგან საკუთარი მოქალაქეები დაცულად უნდა გრძნობდნენ თავს თავიან სახელმწიფოში. ქვეყნის მთავარი მიზანი კი კონსტიტუციის დაცვა და მისი პრინციპების პრაქტიკაში მოყვანა უნდა იყოს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, ერთი მხრივ ხდება სასამართლოს მიერ პროკურორის დაკმაყოფილებული შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობა. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე- ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", განმარტა რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა იმდენად დაზუსტებული, მტკიცებულებებით გაჯერებული და დასაბუთებული უნდა იყოს, რომ არავის მიეცეს საშუალება ლავირების, პირიქით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა არ უნდა ტოვებდეს კითხვის ნიშნებს.[97] ამ შემთხვევაში სასამართლომ გადაუდებელი აუცილებლობის განმსაზღვრელ ამოსავალ წერტილად კონსტიტუცია მიიჩნია, ხოლო იმისათვის იყო თუ არა დარღვევა უფლებაში ჩარევის

[96]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილებ ასაქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტისწინააღმდეგ"

[97] პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, გვ.10 თბილისი 2014, გვ.10

მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს მიანდო რთულ შემთხვევებში განსასჯელად.[98] შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჩარევის კუთხით ძალიან მკაცრია, რადგან ამ შემთხვევაში არამარტო შეიძლება დაირღვეს ერთი კონკრეტული პირის უფლება, არამედ საქმეში შესაძლოა ფიგურირებდეს მესამე პირები, რომლებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდეთ კონკრეტულ დანაშაულთან, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა, თუმცა ამ პირთან ჰქონდეთ კომუნიკაცია. შესაბამისად ძალიან რთულია დაცული იქნეს და მაქსიმალურად გაკონტროლდეს რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი აღნიშნული პირების უფლებების დარღვევა. სწორედ აქედან გამომდინარე, მოსამართლემაც ძალიან სწორად უნდა გათვალოს ის რისკები, რაც თან ახლავს აღნიშნულ პროცესებს. ყველა უწყება მაქსიმალურად უნდა ეცადოს ქვეყნის უმთავრესი კანონის, კონსტიტუციის დაცვას.[99]

[98]პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, გვ.10 თბილისი 2014, გვ.8
[99] იქვე.გვ.11

III.საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას

3.1 ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი

უზენაესი სასამართლოს ვალდებულებაა აწარმოოს სტატისტიკა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რისთვისაც ის ადგენს შესაბამის რეესტრს, რომელშიც ასახულია შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ რამდენი შუამდგომლობაა შესული სასამართლოში ფარულ საგამოძიებო მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით, ასევე აღირიცხება თუ მოსამართლემ დააკმაყოფილა არსებული შუამდგომლობები, რამდენი განჩინება არსებობს წლის განმავლობაში და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებული იქნა ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების მოპოვების შედეგად და განადგურდა რადგან არ შეიცავდა საქმისთვის არსებულ მტკიცებებულებებს, თუმცა შეიცავდა ამ პირის ან სხვა პირების პირადი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს. უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაა აღნიშნული რეესტრის წარმოება და იგი ყოველი წლის ბოლოს აქვეყნებს ან ინფორმაციას გამოქვეყნება და არსებული სტატისტიკის დადება საუკეთესო საშუალებაა, რათა საზოგადოებას მეტი ნდობა გააჩნდეს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან, რაც უფრო მეტი კონტროლი იქნება საზოგადების მხრიდანაც, მით უფრო ნაკლებია რისკი ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის.[100] უზენაესი სასამართლოს მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები საქართველოს საქალაქო და რაიონული სასამართლოების

[100] IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითრების ინტიტუტი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა საქართველოში 2015-2018 წელი. გვ.17

მიხედვით, სულ 7084 შუამდგომლობა იყო შესული, საიდანაც 6702 დაკმაყოფილდა, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაზრდილი რიცხვია.[101] სატელეფონო საუბრის მიყურადების მონაცემებით, რომელიც ,,IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" გამოაქვეყნა 2014 წლიდან მონაცემებს რომ შევადაროთ 2020 წლის მონაცემები, ყოველწიურად იმატებს სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობები, რომლის თითქმის უმეტესობა დაკმაყოფილებულია.[102] 2019 წელს სასამართლოში შესული 1037 შუამდგომლობა, რომელთაგანაც 904 დაკმაყოფილდა.[103] ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით არსებობს უამრავი საკანონმდებლო ხარვეზი, შესაბამისად „ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველოს სფეროში ყოფნა, აუცილებელს ხდის სააგენტოს საქმიანობის ეფექტიან ზედამხედველობას"[104] ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტი კი საუკეთესო საშუალებაა მოქალაქეებისთვისაც გაეცნონ ინფორმაციას და სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის მექანიზმებიც გააქტიურდეს.

[101]უზენაესი სასამართლოს რეესტრი ფარული საგამოძიებო მოქმედებების დატარებისას http://www.supremecourt.ge/news/id/2035 { ბოლო ნახვის თარიღი 16/06/2021}

[102] IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინტიტუტი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა საქართველოში 2015-2018 წელი.გვ.18

[103]http://www.democracyresearch.org/geo/463 {ბოლო ნახვის თარიღი 12/03/2021}

[104]http://www.democracyresearch.org/geo/463 {ბოლო ნახვის თარიღი 13/03/2021}

3.2 სახელმწიფო ინსპექტორის როლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ამოქმედდა 2019 წლის 10 მაისს. ის დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის ძირითადი ფუნქციებია, კონტროლი გაუწიოს პეროსანლურ მონაცემთან დამუშავებას, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციების მაინდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალურ ბანკში განხორციელებული მოქმედებების კონტროლი და ასევე გამოძიება სამართალდამცავი ორგანოს წევრის მიერ მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენი დანაშაულის გამოძიება, რომელიც თავისი შინაარსით მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რიცხვს, ან/და არის პიროვნებისთვის ღირსების შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სამოხელეო დანაშაული.[105]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია შეაჩეროს სატელეფონო კავშირის ფარული მიყურადება ან/და ჩაწერა იმ შემთხვევაში თუ სახეზე გვაქვს, რომელიმე ფაქტორი:

- ✓ არ მიეწოდა მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე;[106]

- ✓ არ მიეწოდა პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;[107]

---

[105] https://personaldata.ge/ka/about-us {ბოლო ნახვის თარიღი {10/05/2021}

[106] კუკავა ქ., ახლაძე ნ., ჩხაიძე ს., ფარული მიყურადება საქართველოში კანონდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. გამომც. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი.გვ.10

[107] იქვე. გვ.11

- ✓ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში მატერიალური (დოკუმენტური) სახით არ წარედგინა მოსამართლის განჩინების ეგზემპლარი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე[108]

- ✓ ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით არ წარედგინა პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;[109]

- ✓ ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები არ ემთხვევა მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილ პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებს. [110]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სატელეკომუნიკაციო ქსელების კავშირებთან ასეთი აქტიური წვდომა, რაც წვევდა მათვის შეუზღუდავი რაოდენობის ინფორმაციის მიღებას და უკონტროლო ხდებოდა როგორც მონაცემების შეგროვების კუთხით, ასევე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ამ ინფორმაციის მოპოვების კანონიერების დადგენა,[111] რითაც ირღვეოდა ადამიანის უფლებები, შესაბამისად საკონსტიტუციო

---

[108]კუკავა ქ., ახლაძე ნ., ჩხაიძე ს., ფარული მიყურადება საქართველოში კანონდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. გამომც. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი.გვ.10

[109]იქვე. გვ.11
[110]იქვე. გვ.12
[111]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N 1/1/625,640.

სასამართლომ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან“ მიიჩნია არაკონსტიტუციურად.[112] 2016 წლის მიღებული საკონსტიტუციო სასამართლომ არსებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ საგამოძიებო ორგანოს ბუნებიდან გამომდინარე მისი სურვილი ყოველთვის მეტი ინფორმაციის ფლობაა, რათა მარტივად გაიხსნას საქმე და დასრულდეს გამოძიება. [113] სწორედ აქედან გამომიდანარე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ძალიან მკაცრად გააკონტროლებს ფარული საგამოძიებო მოქმედებებს დროს ადგილი არ გქონდეს დარღვევებს. ვინაიდან საგამოძიებო ორგანო მუდმივი ცდუნების წინაშე დგას, რომ მოიპოვოს ბევრად მეტი ინფორმაცია ვიდრე ხელთ აქვს, რათა უფრო ეფექტური და მარტივი იყოს შედეგზე გასვლა.

Freedom House-ის მიერ 20 მაისს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში – „გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები – 2021“ [114] ნახსენებია, რომ 2020 წლიდან საგრძნობლად გახშირდა ფაქტები საჯარო პირების, ასევე პოლიტოკოსების მიმართ ფარული მოსმენების მუქარასთან დაკავშირებით, რაც რასაკვირველია აფერხებს დემოკრატიულ პროცესებს ქვეყანაში. 2021 წელს წინა წელთან შედარებით დემოკრატიის ინდექსი, რომელიც 1დან 7 შკალამდე იზომება, 3.25 ქულიდან 3.18მდე დაეცა.[115] თუმცა ის შენიშვნები რაც წინა წლების ანგარიშებში იყო მითითებული ძირითადად აღმოიფხვრა. 2018 წელს გამოითქვა შეშფოთება, ოპერატიული–ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობის შესახებ, რადგან კიდევ დიდი ეჭვი არსებობდა, რომ ვერ ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს და ექცეოდა გავლენების ქვეშ სხვადასხვა უწყებების მხრიდან,

---

[112]კუკავა, ქ., ახლაძე ნ., ჩხაიძე, ს., ფარული მიყურადება საქართველოში კანონდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. გამომც. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი გვ.15

[113]იქვე გვ.16

[114] Freedom House საქართვველოს 2021 ანგარიში, https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2021 {14.06.2021}

[115] იქვე

რამაც 2019 წელს გარდამტეხი ცვლილებები გამოიწვია და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრეროგატივა გახდა.[116]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, ასევე ხელმძღვანელობს საერთაშორისო შეთანხებებითა და ხელშეკრულებებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით და რაღა თქმა უნდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.[117] სახელმწიფო ინსპექტორი ხელშეუხებელია, მხოლოდ იმ შემთხვევის გარდა თუ მას დანაშაულის ადგილზე წაასწრეს, ამ შემთხვევაშიც კი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ინსპექტორის ჩხრეკა, დაკავება ან/და დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ წინასწარი თანხმობის შემთხვევაში. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მას აქვს იმუნიტეტი.[118] სახელმწიფო ინსპექტორი ერთი წლის ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, სადაც დეტალურად იქნება განხილული თუ რა მდგომარეობაა ქყვეყანაში, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, როგორია კონტროლია ელექტრონული კომუნიკააციის მაიდენტიფიცირებული მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული კონტროლის მხრივ, სახელმწიფო ინსპექტორი ვალდებულია გააცნოს მთელი წლის მანძილზე განხორციელებული საქმიანობები, ასევე განიხილოს ხომ არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდგებობები, რაც ხელს შეუშლიდა მის ეფექტურ საქმიანობას.[119] სახელმწიფო ინსპექტორი მის დეტალურ ანგარიშს ასევე წარადგენს ყოველწლიურ სტატისტიკას ფარული საგამოძიებო

---

[116]კუკავა, ქ., ახლაძე ნ., ჩხაიძე, ს., ფარული მიყურადება საქართველოში კანონდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. გამომც. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი გვ.19

[117] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=5 { ბოლო ნახვის თარიღი 12.05/2021}

[118] ი ქ ვ ე

[119]ი ქ ვ ე

მოქმედებების კონტროლის შესახებ, წარადგენს რეკომენდაციებს და დაკსვნებს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას შემდგომი წლის საქმიანობაში, რათა ყველა ლაფსუსი აღმოიფხვრას. პეროსნალურ მონაცემთა დაცვაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ძალიან დიდი როლი აკისრია, მისი ფუნცია გააკონტროლოს კანონიერად მიმდინარეობს თუ არა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, განიხილოს შესაბამისად შემოსული განცხადებები, ინფორმაცია მიაწოდოს მოქალაქეებს პერსონალური მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ.[120]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, როგორიცაა სატელეფონო კომუნიკაციის, ასევე ფარული მიყურადების და ჩაწერის დროს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვალდებულია გააკონტროლოს მონაცემებთა დამუშავების კანონიერება, ხომ არ არის გარკვეული გადაცდომები და ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დაიცვას ადამიანის უფლბები და რა თქმა უნდა თითოეულ საქმეში იყოს ობიექტური, რათა არ მოხდეს რომელიმე კონკრეტული პირის მიმართ მიკერძოება. რასაკვირველია უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა ნებისმიერ საქმეში. სახელმწიფო ინსპქეტროს სამსახურს უფლება აქვს, როგორც გამოითხოვოს ინფორმაცია პირზე, ვისზედაც მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ასევე გადაამოწმოს ის ტექნიკური აღჭურვილობა, რომლის საშუალებითაც მიდინარეობს ჩაწერა, მოსმენა და სხვა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფლებამოსილებას ანიჭებს პერსონალურ მომაცემებთა დაცვის ინსპექტორს, რომ იმ შემთხვევაში თუ მას არ მიაწოდეს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების ეგზემპლარი ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების სატელეფონო კომუნიკაციების ან ფარული მიყურადების შესახებ, ასევე ელექტრონული ან მატერიალური ვერსია, პროკურორის მიერ მიღებული

[120] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=5 { ბოლო ნახვის თარიღი 16/06/2021}

დადგენილების გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, არ გახდა ცნობილი. ასევე ინსპექტორს უფლება აქვს შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები, თუ სარეზოლუციო ნაწილი ან რეკვიზიტები გარკვეულწილად ბუნდოვანია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების უფლებას აძლევს იმ შემთხვევაშიც, თუ პროკურორის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და არსებული მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა.[121]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მსჯელობისას განმარტა, რომ ,,პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია“[122] სახელმწიფოს ერთ-ერთი ვადებულებაა დაიცვას პირის კერძო სფერო, მთავარი ფასეულობა როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რაც უშუალო კავშირშია პერსონალური მონაცემების დამუშავების და მისი დაცვის კანონიერ გზებთან. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე იყო ქართული კანონმდებლობისთვის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის შემოღება, რომელიც ერთგვარი ხიდი გახდა საგამოძიებო ორგანოსა და საზოგადოებას შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისთვის. მისი ყოველწლიური ანგარიში, მუშაობის ეფექტურობა საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ყველანაირი გადაცდომა, რომელიც შეიძლება საქმის გამოძიებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით დაუშვას საგამოძიებო ორგანომ. მნიშვნელოვანია, რომ სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა, არავის

---

[121] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=5 { ბოლო ნახვის თარიღი 16/06/2021}

[122] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომრის გადაწვეტილება საქმეზე N2/3/406/408 საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

დაქვემდებაში არ შედის და მასზე ზეგავლენის მოხდენა, როგორც გავლენიანი პირების, პოლიტიკურ ჭრილში, ასევე საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანოს მხრიდან, დაუშვებელია და ისჯება კანონით. [123]

სახელმწიფო ინსპექტორის მიერ 2020 წლის პარლამენტის წინაშე წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, სასამართლომ 2020 წელს სატელეფონო კომუნიკაციის, ფარული მიყურადების და ჩაწერის შესახებ 997 შუამდგომლობა განიხილა, ასევე პროკურორის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიეწოდა 107 დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ფარული მიყურადება-ჩაწერის თაობაზე, საიდანაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 116 შემთხვევაში შეაჩერა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის მიმდინარეობა, ვინაიდან გამოწვეული იყო გარკვეული დარღვევები.[124]

---

[123] ჯოხაძე,გ., პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამოწვევები და ტენდენციები, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, თბილისი. 2011, გვ. 327

[124] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური | stateinspector.ge { ბოლო ნახვის თარიღი 15/05/2021}

დასკვნა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის კუთხით განსაკუთრებული რისკია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პერიოდში, რადგან საკმაოდ რთულია მაქსიმალური დაცულობა პირის მის პირად სივრცეში არამართლზომიერი ჩარევისგან. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ბუნებიდან გამომდინარე მოქალაქეს საკმაოდ გვიან ეცნობება, რომ მის მიმართ მიმდინარეობდა საგამოძიებო პროცედურები, შესაბამისად მხოლოდ დასრულების შემდგომ ეძლევა საშუალება მას, გამოიკვლიოს არსებული მოქმედების ჩატარების საფუძველი და კანონიერება. სახელმწიფომ ფუნდამენტური ღონისძიებები უნდა ჩაატაროს ამ კუთხით ცვლილებების განხორციელებისთვის, კერძოდ კანონში ბევრად მეტი კონკრეტულობაა საჭირო, რათა უფრო ნათელი და ცხადი გახდეს ის მიზნები, რის გამოც პიროვნება დგას უფლების შეზღუდვის რისკის ქვეშ. საქმეში ,,ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია პიროვნებაზე შეტყობინება მის უფლებაში ჩარევის თაობაზე, რათა მას საშუალება მიეცეს დაიცვას საკუთარი თავი და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.[125] საგამოძიებო ორგანოს უფლება თორმეტი თვის ვადაში შეატყობინოს პირს, რომ მის მიმართ ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, პიროვნებას უზღუდავს შესაძლებლობას, რომ მოახდინოს მყისიერი რეაგირება და დროულად გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული ფაქტი.

ნათლად წარმოჩინდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როლის და ჩართულობის მნიშვნელობა აღნიშნულ საკითხში, რადგან 2020 წელს შეჩერდა რამდენიმე საქმეზე სატელეფონო კავშირის ფარული მიყურადება და ჩაწერა გარკვეული დარღვევებიდან გამომდინარე, თუმცა არ არის

[125] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Roman Zakharov v. Russia) პარ. 286-287.

საკმარისი რადგან ჯერ კიდევ არსებობს მაღალი რისკი რომ უკანონო მოსმენები განხორციელდეს. აუცილებელია, რომ ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლად არ ჰქონდეს კავშირი ე.წ ,,შავ ყუთთან". სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს კონტროლს მხოლოდ იმ მონაცემებზე, რომელსაც შესაძლოა ფარული საგამოძიებო მოქმედებებების ჩატარებისას უფლებამოსილი პირი ამუშავებდეს, თუმცა გავრცელებული ხერხია ინტერნეტ საშუალებით მოპოვება პირადი კომუნიკაციით არსებული ინფორმაციის, რის კონტროლსაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ ახორციელებს, რაც არ აძლევს საშუალებას ჩამოყალიბდეს სრულყოფილი კონტროლის მექანიზმი. უმჯობესი იქნებოდა კანონმდებელს დაევალდებულებინა სახელმწიფო ინსპექტორი, რომ წელიწადში განსაზღვრული რაოდენობა ყოფილიყოს ინსპექტირების ჩატარების, რათა მხოლოდ მის კეთილ ნებაზე დამოკიდებული არ გახლდეთ, რაც ბევრად ეფექტური გზა იქნებოდა ამ კუთხით. წინგადადგმული ნაბიჯია ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის არსებობა, თუმცა გამოქვეყნებულმა ანგარიშმა აჩვენა, რომ ყოველწლიურად იმატებს სასამართლოში შესული შუამდგომლობის რიცხვი, რაც მეტად საყურადღებოა, რადგან პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ის შუამდგომლობები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდება, მაინც არ არის პროკურორის მხრიდან ამომწურავად დასაბუთებული, ამას ადასტურებს პროფესორი ალბრეხტის დასკვნაც, რომლის მიხედვითაც მიყურადება-თვალთვალის შუამდგომლობები მოსამართლის მხრიდან მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებისას არ კმაყოფილდება.[126] მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2019 წლიდან განხორციელებული ცვლილებების შემდგომ უფრო მეტწილად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, მაინც დარჩენილია უამრავი ხარვეზი, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ეროვნულ დონეზე არსებობს ძალიან

[126] ხოდელი, მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილი 2019,გვ.241

ბევრი კანონი და ნორმა, რომლითაც თითქოს და ამოწურული უნდა იყოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დაცვა, პრაქტიკამ ნათლად აჩვენა, რომ საკანონმდებლო მოწესრიგება მაინც არასაკმარისია, რადგან სახეზე გვაქვს პირადი ცხოვრების უფლებაში უხეში ჩარევის არაერთი მაგალითი. აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო სისტემის შემუშავება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა ამ ხარვეზებს. ასევე აუცილებელია გაძლიერდეს სასამართლოს მხრიდან კონტროლიც, მოსამართლემ მხოლოდ ის შუამდგომლობა უნდა დააკმაყოფილოს, რომელიც ზედმიწევნით დასაბუთებულია და არ აჩენს არანაირ კითხვის ნიშანს, სხვა ალტერნატიული გზით საქმის გამოძიების კუთხით.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, გამომც. ევროპის საბჭო. გვ.16
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა, გამომც. გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი, გვ. 51
3. ადამიანისძირითადიუფლებანიდათავისუფლებანი,თბილისი,2013
4. აქუბარდია ირინა,პირადიცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში დასაერთაშორისო ასპექტები, თბილისი2012 წ.
5. ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2014
6. ბურჯანაძე გ., ტუღუში თ., მშვენიერაძე გ., მენაბდე ვ. გოცირიძე გ., ,, ადამიანის უფლებები და ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. გვ. 190 თბილისი 2013
7. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVERFGE 34.
8. დემეტრაშვილი,კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2010, გვ. 89

9. დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტი, ოპერატიული ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, 2020 წ
10. ზუკაკიშვილი ქ.., პირადი ცხოვრების უფლება– გამოწვევები ინტერნეტ ეპოქაში, სამართლის ჟურნალი N1. თბილისი 2012
11. კილკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონცენციიც მე-8 მუხლის განხორციელება, გვ. 15 თბილისი 2005
12. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, სტატიათა კრებული "ადამიანის უფლებათადაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში", თბილისი 2004.
13. კუკავა ქეთავან, ახლაძე ნატა, ჩხაიძე სალომე, ფარული მიყურადება საქართველოში კანონდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. გამომც. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი
14. მაკა ხოდელი, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
15. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი 2008, გვ. 158.
16. კუკავა ქეთავან, ახლაძე ნატა, ჩხაიძე სალომე, ფარული მიყურადება საქართველოში კანონდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. გამომც. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი
17. ლომსაძემ., სისხლის სამართლის პროცესი, მეექვსე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016

18. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი 2020
19. ოქროაშვილი, მაიკო. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005
20. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, გვ.10 თბილისი 2014.
21. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს ,,პეტიტი", თბილისი, 2013
22. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტა ასოციაციის გამომცემლობა. გვ. 427
23. ტრექსელიშ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009
24. ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ .189.
25. უსენაშვილი, ჯ. , სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი 2002. გვ.82
26. ფაფიაშვილი ლალი, ივანიძე მაია, აქუბარდია ირინა, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, თბილისი, 2017
27. წიქარიშვილი კ., ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლისსამართლის საპროცესო სისტემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 153. თბილისი 2002
28. ხოდელი, მაკა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), 2019.

29. ხოდელი მაკა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ძირითადი ასპექტები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, გვ.40 , ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
30. ჯოხაძე გ., პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამოწვევები და ტენდენციები, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, თბილისი. 2011, გვ. 327
31. Democratic and efective oversight of national security services , page 65
32. Manfred Nowak, Covenant on CIVIL an Political Rights, CCPR Commentary, 2005

33. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითრების ინტიტუტი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა საქართველოში 2015-2018 წელი
34. The Privacy Protection Act of 1980, 42 U.S.C. § 2000aa et seq. (2002).

სამართლებრივი აქტები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი,1950 წლის 4 ნოემბერი

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007წლის 26 დეკემბრის საქმე N1/3/407 გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომრის გადაწვეტილება საქმეზე N2/3/406/408 საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება, საქმე N458.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის საქმე N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N 1/1/625,640.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N 1/1/625 ,,საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტოციო სასამართლოს 2017 წლის პირველი ივნისის N1231 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
საქართველოს საკონსტიტოციო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის N1306 გადაწყვეტილება საქმეზე გურამი და მარიამ ბეგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 09 ოქტომბრის N1355 გადაწყვეტილება საქმეზე სამსონ თამარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის N1467გადაწყვეტილება საქმეზე მიხეილ ხაინდრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BV34.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ინტერნეტ წყარო

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0
https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/General/surveillance_geo_final.pdf
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0
https://supreme.justia.com/cases/federal/us/381/479/
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
https://www.transparency.ge/ge/content/stub-577

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0

http://www.supremecourt.ge/news/id/2035

http://www.democracyresearch.org/geo/463

https://personaldata.ge/ka/about-us

https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2021

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=5

https:// stateinspector.ge /